

## მ ა რ ი ნ ე ი ლ უ შ რ ი ძ ე

### ორი ოსმალური დოკუმენტი მე-18 საუკუნის 80-იანი წლების დასაბამით საქართველოს შესახებ

1999 წელს თბილისის ცენტრალურმა საისტორიო არქივმა თურქეთის რესპუბლიკიდან მიიღო დაახლოებით 1120 დოკუმენტის ქსეროასლი, რომელთა უმრავლესობა ძირითადად ასახავს მე-18-19 და მე-20-ე საუკუნის დასაწყისის როგორც საქართველოს, ისე მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიას. ამათგან ჩვენ შევარჩიეთ ორი დოკუმენტი: №1228, რომელიც არის არზრუმის ვალის, ალი ფაშას მოხსენებითი ბარათის რეზიუმე და დათარიღებულია 1199 წ. ჯუმადიულეველის 29-ით / 1785 წლის 9 აპრილით/ და №1228ა. ეს არის ჩილდირის ვალის, სულეიმან ფაშას მოხსენებითი ბარათი, შედგენილი 1199 წ. ჯუმადიულახერის 5-ში / 1785 წ. 15 აპრილს. ორივე ბარათი შეეხება იმერეთის მეფე სოლომონ I-ის გარდაცვალების ანუ 1784 წლის შემდგომ განვითარებულ პროცესებს დასავლეთ საქართველოში. ორსავე დოკუმენტში ერთიდაიგივე მოვლენებია ასახული, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ №1228 ცნობათა სიუხვით გამოირჩევა და გაცილებით ვრცელია.

ოსმალეთი, რომელიც იმერეთის სამეფოზე ზეგავლენას კარგავდა, ცდილობდა, მხედველობიდან არ გამოჰპაროდა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენები და როგორც ზემოდასახელებული ორი დოკუმენტიდან ირკვევა, ამას მშვენიერად ახერხებდა კიდევ. საქართველოს შესახებ ცნობების მოპოვება და მიწოდება ევალეზოდან საქართველოს მომიჯნავე არზრუმისა და ჩილდირის ეილაიეთების ვალიებს. არზრუმის ვალის, ალი ფაშას, ეს დოკუმენტი შეუდგენია დიდევზირის მიერ მასთან გაზაზენილი იმ წერილის საპასუხოდ, რომელშიც მას ცნობების მიწოდებას სთხოვდნენ (№1228). როგორც ირკვევა, დიდევზირი ცნობათა გადამოწმების პრინციპით მოქმედებდა, რამეთუ №1228ა-ში გარკვევით წერია: „სანდრობის საკითხი რადგანაც მუდმივად დგას და კელავ ცნობების მიწოდება და სინამდვილის ცოდნაა საჭირო, ამიტომ იქნა ნაბრძანები“ (№1228ა). ორი სხვადასხვა პირისგან – ჩვენს შემთხვევაში, ალი ფაშასა და სულეიმან ფაშასაგან – მიწოდებული ცნობები დიდევზირს საშუალებას მისცემდა, მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე რაც შეიძლება კარგად ყოფილიყო ჩახედული საქართველოში განვითარებულ მოვლენებში.

ეილაიეთების ვალიები ცნობების შესაგროვებლად, თავის მხრივ, მსტოვრებს იყენებდნენ. №1228ა-ში შემდგეს ეკითხულობთ: „საქართველოდან ჩენი სანდო მსტოვარი მოვიდა“. შევნიშნავთ, რომ მსტოვარი ქართულად მოუბარი ყოფილა, მაგრამ თავად რა ეროვნებისა იყო, ამის თქმა ძნელია.

დოკუმენტებში სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის ტახტზე ასული დავით გიორგის ძე „არაკანონიერ ხანად“ (№1228) და „გურჯისტანის სახანოზე პრეტენზიის მქონე“ (№1228ა) ხანადაა მოხსენიებული, იმ დროისათვის შექმნილი პოლიტიკური ვითარება კი შემდგანიარადაა დახასიათებული: „ამჟამად საქართველოს მოსახლეობა სამ ჯგუფად გაიყო. დადინმა და გურიის მთავარმა და მათმა ხალხმა, გასულ წელს მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ოსმალეთის ერთგულება გააგრძელეს და განამტკიცეს, რუსებო, თბილისის ხანი და ხსენებული დავითი უარყვეს და მტრად შერაცხეს“ (№1228). როგორც ვხედავთ, აქ ურთიერთდაპირისპირებულ ორ ბანაკზეა საუბარი: ერთი მხრივ, ოსმალეთის მხარეს მდგომ გურიასა და სამეგრელოზე და, მეორე მხრივ, რუსეთის მხარეს მდგომ ერეკლე

მეორესა და დავით გიორგის ძეზე ამგვარად, სამ პარტიაში უნდა ვიგულისხმოთ: პირველი – გურია და სამეგრელო, მეორე – ერეკლე მეორის და მესამე – დავით გიორგის ძის მომხრეები. იმავე დოკუმენტში ასეთ ფრაზასაც ვაწყდებით: „იმერეთის სამეფოში მოსახლეობის ნაწილი დავითის და ნაწილი არჩილის ვაჟის ხანობის მსურველი იყო“. საქართველოს მოსახლეობის ორ ჯგუფად გაყოფაზე საუბარი დოკუმენტ №1228ა-შიც. იქ კითხულობთ: „გურჯისტანის მოსახლეობის ნაწილი თბილისის ხანის, ერეკლე ხანის, წილი იყო და სოლომონის ძმისშვილის, არჩილის ძისკენ იხრებოდა და მის მხარეს იჭერდა და მეორე ნაწილი – ხანობაზე პრეტენზიის მქონე დავითს ემორჩილებოდა და მათ შორის მღელვარება და არეულობა სუფევდა“.

ორივე დოკუმენტის დასაწყისში ნათქვამია, რომ „დავითმაც, საქართველოს მეორე ხანის, (პირველ ხანში სოლომონ პირველი უნდა ვიგულისხმოთ – მ.ი.) ერეკლეს მსგავსად, რუსეთისადმი დამორჩილების გამოცხადების მიზნით ერთი ადამიანი პეტერბურგში გაგზავნა“. დავითის „რუსეთისაკენ გადახრაში“ არზრუმის ეალი ჰაჯი ალი ფაშა ერეკლე მეორეს ადანაშაულებდა. იგი დიდგვიზის სწერდა: „იმის გარდა, რომ ზემოხსენებული დავითი წყველ ერეკლეს დაუახლოვდა და ახლო ურთიერთობები აქვს, რუსებისკენაც გადაიხარა და მისი თხოვნა მფარველობის შესახებ გამჟღავნდა“ (№1228). დავითის „რუსებისკენ გადახრა“ იმით დასრულდა, რომ მან გასული წლის ანუ 1198 წლის ზულკადას თვის დასაწყისში (1784 წლის სექტემბერში) რუსეთში ელჩობა გაგზავნა კათალიკოსის, ბერების და ორი თაყაღის შემადგენლობით (№1228). ცხადია, მათში უნდა ვიგულისხმოთ მაქსიმე კათალიკოსი, სარდალ - სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი და მდივანბეგი დავით კეინიხიძე<sup>1</sup>. ქართველი ელჩები „ნანურის გზის შემდეგ მდებარე მოზდოკად სახელდებულ ციხეში იქაურ მცველსა და სერასკერს-გენერალს შეუყოვნებია“ (№1228). დოკუმენტის თანახმად, ეს არ იყო პირველი ელჩობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ამ ელჩობამდე, დავით გიორგის ძეს „მორჩილების თხოვნით ერთი ადამიანი პეტერბურგში გაუგზავნია“. გამორიცხული არაა, რომ ჯერ კიდევ მაქსიმე კათალიკოსის, ზურაბ წერეთლისა და დავით კეინიხიძის გაგზავნამდე დავით გიორგის ძემ, მართლაც, გაგზავნა პეტერბურგში „ერთი ადამიანი“, რომელსაც, ვფიქრობთ, ქართული ელჩობის ჩასასვლელად იქ ნიადაგი უნდა მოემზადებინა.

1555 წ. ზაგის თანახმად, ოსმალეთის ზეგავლენის სფეროში მოხედრილ დასავლეთ საქართველოზე თავისი ზეგავლენის შესუსტებას ოსმალეთი, ცხადია, ვერ ურიგდებოდა და იმერეთს კელაე თავის ხელდებულ ქვეყანად მიიჩნევდა. აქი წერს კიდევ ჰაჯი ალი ფაშა: „გურჯისტანის მოსახლეობამ ეინმე სოლომონის რჩევით დაივიწყა, რომ ისინი უკვე დიდი ხანია, ოსმალეთის იმპერიის რეაიას ეკუთვნიან“ (№1228).

ოსმალეთი იმერეთზე თავისი „უფლებების“ აღდგენას ტახტზე მისთვის სასურველი პირის აყვანით ცდილობდა. ასეთი პირი გამოიძებნა კიდევც, ეს გახლდათ ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძე. „იმისათვის, რომ ოსმალეთის იმპერიის მიერ იგი გურჯისტანის ხანად დანიშნულიყო, ქაიხოსრო ბეგის რაზმი ამ მხრიდან (ოსმალეთიდან – მ.ი.) არზრუმის ვალისთან, ზემოხსენებულ მოხელესთან გაიგზავნა და მანაც თავისი ქეთხუდა საკმარისი რაოდენობის მეომართან ერთად ხსენებულ ბატონს თან გააყოლა და გურჯისტანის მხარეში გაგზავნა“ (№1228).

დოკუმენტებში არაფერია ნათქვამი ქაიხოსრო ბეგისა და ოსმალთა ლაშქრის გურიიდან გაქცევის მიზეზზე. როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება ხოლმე, ოსმალები წარუმატებლობის მიზეზად მოგონილ საბაბს ასახელებენ. ასეა ამ შემთხვევაშიც - „ზამთარიც მეომრებისთვის წინააღმდეგობად იქცაო“ (№1228). ცხადია, ოსმალეთისთვის ყველაზე უპრიანი მისი კანდიდატის – ქაიხოსრო ბეგის ტახტზე ასვლა იყო, „მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, „სირთულე შეიქმნა“, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ,“ ორად გაყოფილი იმერეთის

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973, გვ. 744  
2 იქვე, გვ. 620.

მოსახლეობის ნაწილი დაეითის და ნაწილი – არჩილის ვაჟის ხანობის მსურველი იყო“ თუ რატომ იყო ოსმალეთი როგორც ერთი, ისე მეორე დაეითის წინააღმდეგი, ამის პასუხს №1228ს დოკუმენტში ვკითხვობთ: „რადგანაც დაეითი და არჩილის ძე ერეკლე ხანისკენ იხრებოდნენ, ამათი ხანად დასმა მიზანშეწონილი არ არისო“ - წერდა არზრუმის ვალი ჰაჯი ალი ფაშა. დასუსტებულ ოსმალეთს სხვა გზა არ დარჩენოდა, გარდა ლოდინისა, ხოლო ამ ორიდან, თუ რომელი იქნებოდა არჩეული, ოსმალეთი „მის ხანობას უპირატესობას მიანიჭებდა“ (№1228). საბოლოოდ, მინც „ხსენებული დაეითისა და არჩილის ვაჟის თბილისის ხან ერეკლესთან სიახლოვე და თანხმობა და რუსებისკენაც გადახრა და დამორჩილება ნათელი იყო, ამიტომ ხსენებული ფაქტიურად ხანად დამტკიცდა ... გურჯისტანი, თავისი ნებით, ერეკლესა და მოსკოველებს ჩაბარდა“ (№1228). ოსმალეთმაც დაეით გიორგის ძის „მხარდაჭერა უმჯობესად“ მიიჩნია (№1228).

№1228ა დოკუმენტში მოხსენიებულია რუსეთისა და ერეკლეს დასაყრდენი ჩერქეზეთში მდგომი რუსული ჯარიც.

ჩილდირის ვალი სულეიმან ფაშა სულთნის კარს მსტოერის მოტანილ ამბავს ატყობინებდა: „რუსეთის მხრიდან ამ დღეებში ანანურის გზით ოთხი მოსკოველი გურჯისტანში მოვიდა და ხსენებულ დაეითს ხმალი და ხალათი მოუტანა“. ხმალი და ხალათი ხომ სამეფო ნიშნებია და ისინი, როგორც ცნობილია, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად, „საქართველოში ტახტზე ახალასულ მემკვიდრეს რუსეთის იმპერატორისგან უნდა მიეღო“<sup>2</sup>. რამდენადაც ტრაქტატი რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის დაიდო, ეს წესი ქართლ-კახეთის მეფეებზე ერცელდებოდა, აქ კი საუბარია დაეით გიორგის ძეზე, რომელსაც რუსეთთან ამგვარი ხელშეკრულება ჯერ კიდევ დადებული არ ჰქონდა. ალბათ ამიტომაც, საუბარია მხოლოდ ხმალსა და ხალათზე, გეორგიინის, სიგელის, დროშისა და კერთხის შესახებ კი არაფერია ნათქვამი. 1784 წელს ეკატერინე დედოფლისადმი გაგზავნილ წერილში ბესარიონ გაბაშვილი წერდა: მეფესა ჩვენსა ზედა მოავლინოთ თქვენის ყოვლად მოწყალე ის ფარვანი და ჩვენდა პატრონად და მეფედ დაამტკიცოს მოწყალემან ხელმან თქვენმან და, მეფობისა ნიშანი, ვითარცა ქართლისა და კახეთისა მეფესა ზედა მოივლინა, მის მსგავსის მოწყალებით ამისი ახოვანი სიჭაბუკე და მეფობაც განანათლეთ“<sup>3</sup>. როგორც ჩანს, სამეფო ნიშნების გამოგზავნით რუსეთი ბესიკის თხოვნასაც ნაწილობრივ აკმაყოფილებდა და იმერეთის სამეფოზეც უკვე პრეტენზიას აცხადებდა. კიდევ ერთი დეტალი: „რუსეთის მხრიდან ერეკლე ხანისთვის მიცემული ხელშეკრულების ასლი ამასაც (დაეითსაც – მ.ი.) მისცა“ (№1228ა). ცხადია, აქ გეორგიევსკის ტრაქტატზეა საუბარი. ოსმალეთს მშვენიერად ეცოდინებოდა, რომ დაეით გიორგის ძის მიერ გაგზავნილი ზემოხსენებული ელჩობა იმერეთის მოსახლეობის სახელით დაეით გიორგის ძის მეფედ ცნობას, იმერეთის მფარველობაში მიღებას და თურქების წინააღმდეგ დახმარებას ითხოვდა. როგორც ჩანს, სულეიმან ფაშა რუსეთიდან მოსალოდნელ საშიშროებას უკვე განხორციელებულ რეალობად აღიქვამდა. არც ისაა გამორიცხული, რომ პეტერბურგში ჩასულ ქართულ ელჩობას ეს დოკუმენტი, მართლაც, გააცნეს. მსტოვარს სულეიმან ფაშასთვის ისიც უთქვამს, რომ რუსეთიდან მოსულთა განცხადებით, რუსეთის მხარეს უბრძანებია: „ხსენებული დაეითი შესანიშნავი გურჯისტანის ხანად დაენიშნეთ. თბილისის ხანის, ერეკლე ხანის მსგავსად, მთელი შენი საქმეები ჩვენს გადაუდებელ საქმეებს შორისა და დიდებული ოსმალეთის ფიქრი და შიში ნურანაირად ნუ გექნებათო“ (№1228ა). ალი ფაშას მოხსენებით ბარათში სწორედაა შენიშნული: რუსეთი საქართველოს „დასამორჩილებლად აქეზებს და შთააგონებს“, მაგრამ ცდილობს, რომ „მისი საქმეების მოწყვსიგება ბოლო დროისათვის გადადოს“ (№1228).

<sup>3</sup> ბესიკი, თხზულებანი, აღ. ბარამიძისა და ე. თოფურის რედაქციით, თბ., 1962, გვ. 192.

<sup>4</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, გვ. 744.

დავით მეფესა და მასთან დაახლოებულ პირებს შორის წარმოქმნილმა უთანხმოებამ ასახვა პპოვა ალი ფაშას პატაკშიც. მასში ნათქვამია: „გარდაცვლილი სოლომონის ქეთხუდა და საქმეში გამოცდილი წულუკიძე და წერეთლად სახელდებული თავადი (პაპუნა წერეთელი - მ.ი.) აჩიკაშის მთაფრობის მეთაურები და გაელენიანი პირები გახდნენ და მათმა მომხრეებმა ხსენებულ დავითს არ დაუთმეს და არ დამორჩილდნენ, მოსცილდნენ და გაანაწყენეს“. ამას შედეგად მოჰყვა განაწყენებულთა დაახლოება ერეკლე მეორესთან. როგორც დოკუმენტში ეკითხულობთ, „თბილისის ხან ერეკლე წყვეულთან მუდმივი მიმოწერა და თანხმობა პქონდათ ... თავადმა წულუკიძემ გასულ წელს ერთი ქალიშვილი ერეკლეს ეაჟს და ერთიც - არჩილის ვაჟს შერთო“. ეს ცნობა სიმართლეს არ შეეფერება. ცნობილია, რომ ბერი წულუკიძეს ორი ვაჟის - სვიმონისა და ქაიხოსროს გარდა ჰყავდა ორი ქალი - დარეჯანი და ხვარამზე, მხოლოდ დარეჯანი სოლომონ პირველის მემკვიდრესთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან იყო დაქორწინებული<sup>5</sup>, ხვარამზე კი თავად ღვეპან მიქელაძესთან<sup>6</sup>, დავით არჩილის ძეს კი „მისცეს მეუღლედ ასული დადიანისა კაციასი“<sup>7</sup>. პოლიტიკური კავშირები ხშირად ნათესაური კავშირებით მტკიცდებოდა და ამ შემთხვევაშიც, როგორც ჩანს, ალი ფაშამ თავის მოხსენებით ბარათში ეს ცნობა ამის გათვალისწინებით ჩართო.

ბერი წულუკიძის ჩანაფიქრი დოკუმენტში შემდეგნაირადაა გადმოცემული: „სურდა, როგორც სოლომონის, ისე ხსენებულის (დავით არჩილის ძის - მ.ი.) ქეთხუდაც ყოფილიყო და ამ გზით აჩიკაში მისი მმართველობის ქვეშ შესულიყო და მისი განზრახვა შესრულებულიყო“ (№1228).

ჰაჯი ალი ფაშა დავით გიორგის ძის მიერ დავით არჩილის ძის მემკვიდრედ გამოცხადების შესახებაც იყო ინფორმირებული. „შეთანხმების საფუძველზე ხსენებული ვაჟი აჩიკაშის ფორმალურ ხანად იქნა აყვანილიო“, - წერს იგი.

ასეთია ის ცნობები, რომლებსაც გვაწვდიან არზრუმის ვალი ჰაჯი ალი ფაშა და ზილდირის ვალი სულეიმან ფაშა თავიანთ მოხსენებით ბარათებში.

ვიძლევეთ №1228-ე დოკუმენტის ქართულ თარგმანსა და ფაქსიმილეს.

ამჟამინდელი არზრუმის ვალის, პატიედებული ეეზირის, პატიოსანი ჰაჯი ალი ფაშას  
უმადლესობისგან მოსული წერილის რეზიუმეა.  
1199 წ. ჯუმადალვეველის 29/1785 წლის 9 აპრილი.

საქართველოს ხანის სოლომონის გარდაცვალების შემდეგ არაკანონიერმა ხანმა დავითმა, საქართველოს მეორე ხანის, ერეკლეს, მსგავსად, რუსეთისადმი დამორჩილების გამოცხადების მიზნით ერთი ადამიანი პეტერბურგს გაგზავნა. [ეს ამბავი] გაზეთის ფურცელზე მოთავსებული განცხადებით გაირკვა. დიდვეზირმა [ალი ფაშას] წერილი გაუგზავნა, რომელშიც ზემოხსენებული საქმის შესახებ ცნობების მიწოდება მოსთხოვა. საქართველოს ეითარებაში კარგად რომ ყოფილიყო ჩახედული, საამისოდ სიფხიზლე მართებდა. ამჟამად საქართველოს მოსახლეობა სამ ჯგუფად გაიყო. დადიანმა და გურიის მთაფარმა და მათმა ხალხმა, გასულ წელს მიღებული გადაწყვეტილების თანახმად,

<sup>5</sup> მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძებვისა, გამოცემა მჯანაშვილისა, ტფილისი, 1905, გვ. 26-27.  
<sup>6</sup> მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის, მზითვის წიგნები, გამოც. მზია იაშვილისა, თბ., 1974, გვ. 95, №15  
<sup>7</sup> ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შაბურჯანიძემ, თბ., 1962, გვ. 184; ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თლომოურმა, თბ., 1941, გვ. 63.

დიდებული ქვეყნისადმი ერთგულება გააგრძელეს და განამტკიცეს; რუსები, თბილისის ხანი და ხსენებული დაეითი კი უარყვეს და მტრად შერაცხეს.

მინაწერი: საქართველოს ხანის, სოლომონის გარდაცვალების შემდეგ არაკანონიერი ხანის – დაეითის მიერ, ერეკლე ხანის მსგავსად, რუსეთისადმი დამორჩილების გამოცხადება ახლა გაირკვა, რის გამოც ვითარებისა და მდგომარეობის დადგენის მიზნით არზრუმის ვალიმ ზემოხსენებულის განუოფილებას დამატებითი წერილი გაუგზავნა და ეს წერილი იმის პასუხია.

იმის გამო, რომ იმერეთის ქვეყანაც განაწყენდა და გარდაცვლილი სოლომონის ქეთხუდა და საქმეში გამოცდილი წულუკიძე და წერეთლად სახელდებული თავადი იმერეთის მთავრობის წინამძღოლები და გაელენიანი პირები გახდნენ, მათმა მომხრეებმა ხსენებულ დაეითს არ დაუთმეს და არ დამორჩილდნენ, ჩამოშორდნენ, გაანაწყენეს და თბილისის ხანთან – წყეულ ერეკლესთან მუდმივი მიმოწერა და ურთიერთობა გააბეს.

ხსენებულმა წულუკიძემ გასულ წელს ერთი ქალიშვილი ერეკლეს ძეს და მეორე არჩილის ვაჟს შერთო და ამრიგად, ურთიერთობა ნათესაობითა და ერთსულოვნებით განმტკიცდა. სოლომონის სიკედილის შემდეგ ფული და ძვირფასეულობა მთლიანად უნებელი დარჩა. მას, როგორც სოლომონის ქეთხუდას. ევალეზორა თვალყური ედევნებინა, რომ დაპყრობისა და მორჩილების ეამს არ მიეტაცებინათ. თბილისის წყეული ხანის ქალიშვილი და არჩილის ვაჟი ხსენებულ ხანთან გააგზავნეს და დღეს თბილისშია. შეთანხმების საფუძველზე იგი ფორმალურად დამტკიცდა იმერეთის მბრძანებლად. [წულუკიძეს] სურდა, რომ როგორც სოლომონის, ისე მისი ქეთხუდაც ყოფილიყო და ამ გზით ანიკბაში მისი მმართველობის ქვეშ შესულიყო და მისი განზრახვა შესრულებულიყო.

იმის გარდა, რომ ზემოხსენებული დაეითი წყეულ ერეკლეს მიემხრო და ახლო ურთიერთობები ჰქონდა, რუსებისკენაც გადაიხარა და მისი თხოვნა მფარველობის შესახებ გამჟღავნდა და თანაც გახმაურდა და საყოველთაოდ ცნობილი გახდა, რომ გასული წლის ზულკაადას დასაწყისში კათალიკოსი, ბერები, რომლებიც ახსნა-განმარტებას საჭიროებდნენ, და ორი თავადი რუსეთში ელჩად გაემგზავრნენ. ანანურის გზის შემდეგ მდებარე მოზლოკად სახელდებულ ციხეში მოსვლისას იქაურმა მცველმა და სერასკერმა – გენერალმა ხსენებული თავადები შეაჩერა. თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა პეტერბურგზე, ეს ხსენებულ ბერს გამოჰკითხა, ჩაიწერა და შეატყობინა. საგულგებელია, რომ როგორც ზემოთ წერია, გაზეთის ფურცელზე გამოქვეყნებული ცნობა ამის მიხედვით იქნა შედგენილი.

ერთი სიტყვით, ხსენებულ დაეითს სახანოზე გავლენა არ ჰქონდა და შეშფოთებისა და შიშის გამო ხან რუსებსა და თბილისის ხანს და ხან ჩილდირის მხარეს მიმართავდა მფარველობისთვის და ემორჩილებოდა.

დიდებული ქვეყნის მიერ გურჯისტანის ხანად დანიშნის მიზნით ქაიხოსრო ბეგი თავისი რაზმითურთ ამ მხრიდან არზრუმის ვალისთან, ზემოხსენებულ მოხელესთან გაიგზავნა და მანაც თავისი ქეთხუდა საქმარისი რაოდენობის მეომართან ერთად ხსენებულ ბატონს თან გააყოლა. ვინაიდან საქართველოს მოსახლეობამ ეინმე სოლომონის რჩევით დაივიწყა, რომ ისინი უკვე დიდი ხანია, ოსმალების რეაიას ეკუთვნოდნენ, საჭირო იყო კელაჟ უზრუნველყოთ წესრიგის დამყარება, მაგრამ ძლიერი ზამთარი ჯარისკაცებისთვის წინააღმდეგობად იქცა.

დიდუხირის მიერ [ჰაჯი ალი ფაშასადმი] მანამდე გაგზავნილ წერილში ნათქვამია: ქაიხოსრო ბეგის იმერეთის მმართველად დასმა შესაძლებელი თუა, მით უკეთესი, თუ არადა, ხსენებული დაეითის ან ბოლოსდაბოლოს საქართველოს ემირებიდან შესაფერისის არჩევის შესახებ ბრძანება გამოქვეყნდება. ამის კვალდაკვალ, ზემოხსენებულის მიერ ჩილდირის

ვალისადმი გაგზავნილი შეტყობინების საპასუხო წერილში ნათქვამია: ქაიხოსრო ბეგის ტახტზე აყვანას სირთულე შეექმნა, იმერეთის მოსახლეობა ორად გაიყო. ერთს დაეთის და მეორეს არჩილის ეაჟის ხანობა სურს, მხოლოდ ამ საქმის დაჩქარება საჭირო არ არის და ორმოცი, ორმოცდაათი დღით გადადება უმჯობესია. ზემოაღნიშნულის მიერ კვლავ ჩილდირის ვალისთან გაგზავნილ წერილში წერია: ხსენებული დაეთისა და არჩილის ეაჟის წყუელ ერეკლესთან სიახლოვე და თანხმობა და რუსებისკენაც გადახრა და მორჩილება, საჭიროების უამს ამათგან ერთ-ერთის ხანად დამტკიცება დიდებულ ქვეყანას რამდენჯერმე მოუახსენეთ. ამათგან რომელიც იქნება, მის ხანობას უპირატესობას თუ მივანიჭებთ და მოუაგვარებთ, მაშინ მნიშვნელობა აღარა აქვს, თბილისის ხანს თუ მოსკოველებს გადაეცემა ჩვენი მიწა და გურჯისტანი. იმ შემთხვევაში, თუ ქაიხოსრო ბეგის ტახტზე დასმა ვერ მოხერხდება, საქართველოს ამირებიდან ერთი შესაფერისი ვინმე აირჩევა და სტამბოლს ეცნობება. მას შემდეგ, რაც ყველაზე შესაფერისის დანიშნის და ამის შედეგად შექმნილი ჩვენთვის ხელსაყრელი ვითარების შესახებ შეგატყობინეთ, ბევრი დღე გავიდა და პასუხი ჯერ კიდევ არ ჩანს. შემდეგში, თუ რა დღეს მოვა პასუხი და რა გზით დამყარდება წესრიგი, ამას მაშინვე გაცნობებთ.

მინაწერი აშიაზე: სიმშვიდემ დაისადგურა, რის გამოც მთელი გურია და სამეგრელო [ოსმალეთს] დაემორჩილა და მათი უკან დაბრუნება ცნობილია. საქართველოში ქაიხოსროს მომხრეები არ ჰყავდა და ამიტომ მისი ტახტზე დასმა ვერ მოხერხდა. ბოლოს, ხანის დამტკიცების საკითხი ჩილდირის ვალისთან თათბირის შედეგად გადაწყდა და დაიწერა. ამ მხარეში გამართულ მეჯლისზე არზრუმისა და ჩილდირის ვალიებს იმ მუხლების შესახებ სხვადასხვა დამატებები მიეწერათ და გაგზავნათ. არზრუმის ვალიმ ეს საკითხი ჩილდირის ვალისთან ერთად განიხილა და ვინაიდან დაეთი და არჩილის ძე ერეკლე ხანისკენ იხრებოდნენ, დაწერეს, რომ ამათი ხანად დასმა მიზანშეწონილი არ იყო. ამ წერილმა ადრე გაგზავნილი წერილის შინაარსი განამტკიცა და [ეს მოსაზრება] კვლავ მისაღებად მიიჩნიეს. აქედან გაგზავნილი დამატებითი წერილით არზრუმის ვალი გააფრთხილეს, რომ მათგან მოგვიანებით გაგზავნილი წერილის მისვლის გამო მოსალოდნელი იყო ეს წერილი ამოღებულიყო. მოგვიანებით გაგზავნილი წერილის პასუხს უნდა დალოდებოდნენ.

მინაწერი აშიაზე: საჭიროა, რომ ეს წერილი უწინ გამოიცეს და არზრუმის ვალისთან კვლავ გაიგზავნოს დამატებით დაწერილებითი წერილი. ადრე გაგზავნილი ამბის პასუხიც ალბათ იქნება.

ხსენებული დაეთისა და არჩილის ძის თბილისის ხან ერეკლესთან სიახლოვე და თანხმობა და რუსებისკენაც გადახრა და მორჩილება ნათელი იყო, ამიტომ ხსენებული ფაქტიურად ხანად დამტკიცდა. თუმცე ქაიხოსროს [ხანად] დანიშნა შესაძლებელი იყო, მაგრამ სხვა გზას მიმართეს, რადგანაც საქართველო ერეკლესა და მოსკოველებს თავისი ნებით ჩაბარდა. საქართველოს ამირებიდან ბოლოს შესაფერისი შეარჩიეს და ხანად დაადგინეს. მაღალი სასულთნოს მიერ ამ ამბის გახმაურება სირთულეს გამოიწვევს. ასეთ შემთხვევაში ხსენებულის ხანობას ნებას თუ დართავენ, საგულეებელია, რომ სრული შემწყნარებლობა და ყველა შემთხვევაში მხარდაჭერა ზემოხსენებულისთვის უმჯობესი იქნება.

მინაწერი: შეგვატყობინეს, რომ დიდგებირის სიტყვის მოსელამდე მართებული იყო შეყოვნება.

გადაწყვეტილება: დიდგებირის მოსელამდე შეჩერებულ იქნას!

დღეს სტამბოლში მცხოვრები, ყულების მამისა და ძმის, გამოცდილი დადიანის გარემოცვაში ერთგულება სუფევს და იმის გათვალისწინებით, რომ მათ (ოსმალებსა და დადიანს – მ.ი.) ჭეშმარიტი თანხმობა და ურთიერთობები აქვთ, მისი იმ მხარეში გაგზავნის შესახებ აზრი მისაღებია. ასეთ ვითარებაში გულწრფელ, დიდებულ სასულთნოში გათვალისწინებულ იქნა, თუ რა სიკეთეს მოიტანდა დადიანის სურვილის გათვალისწინება, იმერეთისთვის მხარდაჭერა და მღვლეარებისა და უთანხმოების [მიზეზების] განხილვა.

მინაწერი: დეეთერდარ ეფენდის განყოფილებას გადაეცა და მოწესრიგება ებრძანა. უირმანი სულთნის უდიდებულესობას ეკუთვნის.

ყარისისთვის პროვიანტის შექმნა დიდეზირის ჩუხადარს, ღვთის მონას, სულეიმანს დააველეს. პროვიანტის საყიდლად მისთვის გადაცემული თანხა სახელმწიფო ხაზინიდან გაიცა. არზრუმის საბაჟოდან მხოლოდ 2285 ყურუში იქნა მოპოვებული. ვერ მოხერხდა თანხის იმ ნაწილის შეგროვება, რომელიც, შეთანხმების თანახმად, მარაშისა და მისი შემოგარენიდან უნდა გადაეცათ. მას შემდეგ, რაც ბედნიერების ზღურბლს ამ ცნობის შემცველი წერილი გაუგზავნა, დაახლოებით შეიძინა თვე გავიდა და პასუხი არ ჩანს. გარდა იმისა, რომ პროვიანტის საფასურის მოთხოვნით ჩუხადარმა ზემოსხენებულს თავი მოაბეზრა, ახლა სთხოვა, რომ ბრძანება გაეცა წერილის გაგზავნის თაობაზე, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა, რომ სახელმწიფო ფასი არ იყო დადგენილი და მას არ შეეძლო პროვიანტის შექმნა, უკან დაბრუნებული ფული კი გადაეცათ იმ ადგილებისთვის, სადაც სწრაფად შეიძლებოდა შექმნა. ხსენებული საკითხის მოსაგეარებლად მან ბრძანება ერთ წერილსა და P.S.-ში დაწერა.

**М.А. ИЛУРИДЗЕ**

## **ДВА ОСМАНСКИХ ДОКУМЕНТА ОБ ИМЕРЕТИНСКОМ ЦАРСТВЕ 80-ЫХ ГОДОВ 18-ГО ВЕКА**

**РЕЗЮМЕ**

**В статье рассмотрены два османских документа из древнехранилищ Турции. В них говорится о политических процессах, происходящих в Имеретинском царстве в 80-ых годах 18-го века**





